

ვემჰოფი გერმანიის წინააღმდეგ

WEMHOFF V. FEDERAL REPUBLIC OF GERMANY

საქმის ფაქტობრივი მხარე

3. კ.პ. ვემჰოფი, გერმანიის მოქალაქე, დაბადებული ქალაქ ბერლინში 1927 წელს, ჩვეულებრივ, ბერლინში ცხოვრობს. დაპატიმრების მომენტისათვის იგი იყო ბროკერი.

4. 1961 წლის 9 ნოემბერს იგი დააკავეს რწმუნების დოკუმენტით აღებული ვალდებულებების დარღვევაში მის მიმართ არსებული ეჭვის გამო. ბერლინ-თირგართენის რაიონული სასამართლოს მიერ გამოცემული ორდერი ითვალისწინებდა მის წინასწარ პატიმრობაში აყვანას.

ორდერში ნათქვამი იყო, რომ ვემჰოფი სერიოზულად იყო ეჭვმიტანილი რწმუნებით აღებული ვალდებულებების დარღვევის წაქეზებაში გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 266-ე და 48-ე მუხლების საწინააღმდეგოდ. კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ როგორც ქალაქ ბერლინში მდებარე ავგუსტ-თისენის ბანკის კლიენტმა, ვემჰოფმა წააქეზა ბანკის ზოგიერთი თანამდებობის პირი დიდი ოდენობით თანხების მითვისებაში. ასევე ნათქვამი იყო, რომ მომჩივანის გარეთ დარჩენის შემთხვევაში არსებობდა საშიშროება, რომ იგი დაემალებოდა მართლმსაჯულებას და გაანადგურებდა მტკიცებულებებს, რადგან:

- კანონი მის მიმართ ითვალისწინებდა სასჯელის მძიმე ზომას;
- დანაშაულში მონაწილე პირებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ ცნობილი ხელისუფლებისთვის, შეიძლება მისგან მიეღოთ გაფრთხილება; და
- არსებობდა საფრთხე, რომ მომჩივანი გაანადგურებდა დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებულ საფინანსო დოკუმენტებს, რომელთა ამოღებაც იმ დროისთვის ჯერ არ მომზდარიყო.

გამოძიების პროცესში რაიონული სასამართლოს მიერ გამოიცა კიდევ ორი დაპატიმრების ორდერი, დათარიღებული 1961 წლის 28 დეკემბრით და 1962 წლის 8 იანვრით.

5. 1961-1962 წლებში მომჩივანმა რამდენჯერმე ითხოვა დროებით გათავისუფლება, მაგრამ ბერლინის სასამართლოებმა მისი არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილეს იმავე საფუძვლებით, რაც თავდაპირველ დაპატიმრების ორდერში იყო აღნიშნული. კერძოდ, 1962 წლის მაისში მომჩივანმა მოითხოვა მისი გათავისუფლება გირაოთი, რომლის ოდენობაც დაზუსტებული არ იყო, მაგრამ სააპელაციო სასამართლოსგან უარი მიიღო 1962 წლის 25 ივნისს.

6. როდესაც რაიონული სასამართლო ex-officio განიხილავდა დაკავების კანონიერების საკითხს, ვემჰოფის ადვოკატმა 1963 წლის 20 მარტს მოითხოვა მისი გათავისუფლება და გარანტიის სახით სასამართლოს შესთავაზა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ჩადება. მაგრამ იმავე დღეს სასამართლომ გამოიტანა დადგენილება პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ იმავე საფუძვლებით, რაც დაპატიმრების ორდერში იყო აღნიშნული.

მომჩივანმა ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა 1963 წლის 16 აპრილს და პირველად მიუთითა კონვენციის დებულებებზე.

ბერლინის საოლქო სასამართლომ 1963 წლის 3 მაისს უარი განაცხადა საჩივრის დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

- საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტები ჯერ კიდევ არ იყო სრულყოფილად გამოძიებული;
- სავარაუდოდ, მომჩივანმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ყველა საექვო გარიგებაში, რის გამოც მას ემუქრებოდა განსაკუთრებით მძიმე სასჯელი, რაც, თავისთავად, ქმნიდა მისი მიმალვის საფრთხეს;
- მიუხედავად იმისა, რომ საექვო იყო, რომ მტკიცებულებათა განადგურების საფრთხე ამართლებდა დაკავების გახანგრძლივებას, ასეთი საფრთხე ჯერ კიდევ არსებობდა.

მეორე საჩივარში, რომელიც 1963 წლის 16 მაისით იყო დათარიღებული, მომჩივანი ამტკიცებდა, რომ... გაქცევა მისთვის საბჭოთა ზონის გავლით შეუძლებელი იყო, როგორც მატარებლით, ისე საავტომობილო გზით. ეს საჩივარი სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა 1963 წლის 5 აგვისტოს.

7. ბერლინის სასამართლოებმა ასევე უარი განაცხადეს 1963 წლის 5 აგვისტოს გადაწყვეტილებაში მითითებული საფუძვლებით მომჩივანის მიერ 1963-1964 წლებში დაყენებული რამდენიმე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რომლებითაც იგი მოითხოვდა დროებით გათავისუფლებას. კერძოდ, 1964 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებაში სააპელაციო სასამართლო აღნიშნავდა, რომ იმჟამად მომჩივანის გაქცევის საფრთხე უფრო დიდი იყო, ვიდრე 1963 წლის აგვისტოში. ფაქტობრივად, მას უფრო მძიმე სასჯელი ემუქრებოდა, ვიდრე ადრე. მეორე მხრივ, სასამართლოს მიაჩნდა, რომ ჯერჯერობით შეუძლებელი იყო იმის თქმა, მომჩივანის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა თუ არა მისი პირობით ვადადმე გათავისუფლება სისხლის სამართლის 26-ე მუხლის შესაბამისად პატიმრობის ორი მესამედის მოხდის შემდეგ და, დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში, წინასწარ პატიმრობაში ყოფნის ვადა ჩაითვლებოდა თუ არა სასჯელის ვადაში.

8. გამოძიება 13 პიროვნების მიმართ მიმდინარეობდა. მას აწარმოებდა ბერლინის პროკურატურის თანამშრომელი. გამოძიება დაიწყო 1961 წლის 9 ნოემბერს და დასრულდა 1964 წლის 24 თებერვალს. გამოძიების მიმდინარეობის პროცესში რაიმე მნიშვნელოვანი დაყოვნება არ ყოფილა.

გამოძიების ერთ-ერთი მიმართულება იყო საბანკო ჩეკებით მანიპულირება. ამ თვალსაზრისით გამოძიების პროცესში შემოწმდა 169 საბანკო ანგარიში ბერლინის 13 ბანკში, დასავლეთ გერმანიის 35 ბანკში და შვეიცარიის 8 ბანკში. ათობით მოწმე დაიკითხა როგორც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

9. 1964 წლის 23 აპრილს გამოძიება დასრულდა და 855 გვერდიანი საბრალდებო დასკვნა ბერლინის საოლქო სასამართლოს გადაეგზავნა. ამ საბრალდებო დასკვნის მიხედვით მომჩივანს ბრალი ედება:

- რწმუნების დოკუმენტით აღებული ვალდებულებების დარღვევის წაქეზების დანაშაულში;
- ამ ორიდან ერთ-ერთ შემთხვევაში თაღლითობის დანაშაულში;
- რწმუნების დოკუმენტით აღებული ვალდებულებების დარღვევაში ხელშეწყობაში; და
- გაკოტრების შესახებ კანონის 239(1) (i) და 241-ე მუხლებით გათვალისწინებულ შვიდ სხვადასხვა დანაშაულში.

10. საბრალდებო დასკვნის საფუძველზე საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 1964 წლის 7 ივლისს გამოცა ახალი ორდერი, რომლითაც ძველი შეიცვალა. მის თანახმად, მომჩივანის მიმალვის საფრთხე ჯერ კიდევ არსებობდა, რადგან მას მძიმე სასჯელი ემუქრებოდა.

11. საოლქო სასამართლოს 1964 წლის 17 ივლისის დადგენილებით, მომჩივანი და მასთან ერთად ბრალდებული რვა პიროვნება სამართალში მისცეს.

12. მომჩივანის სასამართლო პროცესი 1964 წლის 9 ნოემბერს დაიწყო. საოლქო სასამართლომ მოისმინა 97 მოწმის, სამი სამედიცინო ექსპერტისა და ოთხი ფინანსური ექსპერტის ჩვენებები და დასკვნები. შედგა 1000 გვერდიანი სხდომის ოქმი.

1965 წლის 7 აპრილს საოლქო სასამართლომ ვემპოფი დამნაშავედ ცნო რწმუნების დოკუმენტით აღებული ვალდებულებების დარღვევის წაქეზების დანაშაულში (სისხლის სამართლის კოდექსის 266-ე და 49-ე მუხლები) და მიუსაჯა ექვსი წლისა და ექვსი თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა და დააკისრა ჯარიმა 500 გერმანული მარკის ოდენობით; დაკავების პერიოდი სასჯელის ვადაში ჩაითვა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მომჩივანი კვლავ პატიმრობაში უნდა დარჩენილიყო საბოლოო მსჯავრდებამდე 1964 წლის 7 ივლისის პატიმრობის ორდერში აღნიშნული მიზეზების გამო.

13. მსჯავრდების შემდეგ ვემპოფმა 1965 წლის აპრილში კვლავ მოითხოვა დროებით გათავისუფლება, რაზეც საოლქო სასამართლოსგან 1965 წლის 30 აპრილს უარი მიიღო. მან ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ 1965 წლის 17 მაისს უარი განაცხადა საჩივრის დაკმაყოფილებაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ სავარაუდო იყო, რომ მას გადამალული ჰქონდა დიდი ოდენობით ფული, გარდა ამისა, მისი ვალებისა და გადახდისუუნარობის გათვალისწინებით, იგი შეიძლება დამალვოდა მართლმსაჯულებას.

14. 1965 წლის 16 აგვისტოს მომჩივანმა მოითხოვა დროებით გათავისუფლება და გირაოს სახით გამოთქვა 100 000 მარკის გადახდის სურვილი. საოლქო სასამართლომ მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა 1965 წლის 19 აგვისტოს. თუმცა, მომჩივანს ეს თანხა არ გადაუხდია, არამედ 1965 წლის 30 აგვისტოს განაცხადა, რომ მამამისი წარმოადგენდა საბანკო გარანტიას 25 000 ან 50 000 მარკის ოდენობით. საოლქო სასამართლომ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

16. 1966 წლის 8 ნოემბერს, სასჯელის ორი მესამედის მოხდის შემდეგ, ვემპოფი საოლქო სასამართლოს 1966 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით პირობით გათავისუფლდა (სისხლის სამართლის კოდექსის 26-ე მუხლის საფუძველზე).

საქმის განხილვა კომისიაში

17. მის მიერ 1964 წლის 9 იანვარს კომისიაში შეტანილ თავდაპირველ საჩივარში მომჩივანი ამტკიცებდა, რომ წინასწარ პატიმრობაში მისი ყოფნის ფაქტობრივი ვადა ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებას.

1964 წლის 2 ივლისს კომისიამ საჩივარი დასაშვებად მიიჩნია მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან დაკავშირებით და აგრეთვე, ex officio, მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებით.

20. როდესაც უშედეგოდ დასრულდა ქვეკომისიის მცდელობა, დავა დამთავრებულიყო მორიგებით, კომისიის პლენუმმა შეადგინა მოხსენება კონვენციის 31-ე მუხლის საფუძველზე. მოხსენება მიღებულ იქნა 1966 წლის 1 აპრილს და გადაეცა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს 1966 წლის 17 აგვისტოს. კომისიამ მოხსენებაში გამოთქვა მოსაზრება:

(a) შვიდი ხმით სამის წინააღმდეგ, რომ მომჩივანის საქმის სასამართლო განხილვის ჩატარება არ მოხდა “გონივრულ ვადაში” და იგი არც სასამართლომდე გაუთავისუფლებიათ, შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი;

(b) ცხრა ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ ამ დასკვნაზე რაიმე გავლენას არ ახდენს ის ფაქტი, რომ 1965 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით წინასწარი პატიმრობის პერიოდი სასჯელის ვადაში ჩაითვალა;

(c) ერთსულოვნად, რომ მომჩივანის დაკავების ვადის გაგრძელება, რომლის შესახებ კომპეტენტურმა სასამართლო ორგანოებმა მიიღეს გადაწყვეტილება გაქცევის და მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის გამო, წარმოადგენდა “კანონიერ დაკავებას” მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (c) ქვეპუნქტის გაგებით;

(e) ერთსულოვნად, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩაითვლებოდა პერიოდი 1961 წლის 9 ნოემბრიდან 1965 წლის 17 დეკემბრამდე, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი მაინც არ იქნებოდა დარღვეული.

სამართლებრივი მხარე

1. კომისიისადმი მიმართულ 1964 წლის 9 იანვრის საჩივარში ვემპოფი, *inter alia*, აცხადებდა, რომ იგი პატიმრობაში იმყოფებოდა 1961 წლის 9 ნოემბრიდან, როდესაც იგი დააკავეს. რადგან კომისიამ საჩივრის ეს ნაწილი დასაშვებად გამოაცხადა, სასამართლომ უნდა დაადგინოს, გახდა თუ არა ვემპოფი კონვენციის დარღვევის მსხვერპლი მის მიერ დასახელებული ფაქტებიდან გამომდინარე.

2. სასამართლომ გამოარკვია, რომ ვემპოფი დაკავებულ და დაპატიმრებულ იქნა მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (c) ქვეპუნქტის შესაბამისად, მისი კომპეტენტური სასამართლო ორგანოსთვის წარდგენის მიზნით, საფუძვლიანი ეჭვის საფუძველზე, რომ მან ჩაიდინა დანაშაული და რომ იგი შეიძლება გაქცეულიყო. სადავო არ გამხდარა არც ის ფაქტი, რომ მას დროულად აცნობეს დაკავების მიზეზები და დროულად წარუდგინეს მოსამართლეს. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ დარღვეულა არც მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (c) ქვეპუნქტი და არც მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

3. მაგრამ გასარკვევია, გერმანიის სასამართლო ორგანოები წინააღმდეგობაში ხომ არ მოვიდნენ კონვენციის ორ სხვა დებულებასთან, კერძოდ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მეორე ნაწილთან (რომლის თანახმად, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (c) ქვეპუნქტის შესაბამისად დაპატიმრებულ ან დაკავებულ ნებისმიერ პირს “უფლება აქვს, მისი საქმე განხილულ იქნეს გონივრულ ვადაში ან გათავისუფლდეს სასამართლო განხილვამდე”, ამასთან, “გათავისუფლება შეიძლება დაფუძნებული იყოს გარკვეულ გარანტიებზე, რომ პირი გამოცხადდება სასამართლო სხდომაზე”) და მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან, რამდენადაც იქ ნათქვამია, რომ “წაყენებული სისხლის სამართლის ბრალდების ...

დასადგენად” ყველას აქვს უფლება მისი საქმე განხილულ იქნეს “გონივრულ ვადაში ... სასამართლოს მიერ”

A. რაც შეეხება კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს

4. სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ დებულების მოქმედების ფარგლების დადგენა უაღრესად მნიშვნელოვანია. რამდენადაც სიტყვა “გონივრული” ეხება ვადას, რომლის ფარგლებშიც პირის საქმე განხილულ უნდა იქნეს სასამართლოს მიერ, წმინდა გრამატიკული ინტერპრეტაცია სასამართლო ორგანოებს ორი ვალდებულებიდან ერთ-ერთის ამორჩევის საშუალებას მისცემდა: საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე სამართალწარმოების წარმართვა გონივრულ ვადაში ან სასამართლო განხილვამდე პირის გათავისუფლება, საჭიროების შემთხვევაში გარკვეული გარანტიის პირობით.

5. სასამართლო სავსებით დარწმუნებულია, რომ ასეთი ინტერპრეტაცია არ შეესაბამება მაღალი ხელშემკერელი სახელმწიფოების განზრახვას. შეუძლებელია, რომ ხელშემკერელი სახელმწიფოების მიზანი ყოფილიყო ბრალდებულის გათავისუფლებით მათი სასამართლო ორგანოებისთვის პროცესის გაჭიანურების ნების მიცემა. ეს აშკარა წინააღმდეგობაში იქნებოდა მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან.

ზემოხსენებული დებულების მოქმედების ზუსტი ფარგლების დასადგენად აუცილებელია ეს დებულება მთელი კონტექსტის გათვალისწინებით იქნეს განხილული. მე-5 მუხლი, რომელიც იწყება პიროვნების თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების დაკანონებით, შემდგომ აზუსტებს იმ გარემოებებსა და პირობებს, რომლებშიც დასაშვებია ამ ნორმიდან გადახვევა, კერძოდ, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით, რაც დანაშაულებრივი ქმედების დასჯას მოითხოვს. ამიტომ შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლოებმა, ხოლო თუ საქმე მივიდა ევროპის სასამართლომდე, მაშინ - ევროპის სასამართლომ, სწორედ პასუხისგებაში მიცემული პირის დაკავების ხანგრძლივობიდან გამომდინარე უნდა დაადგინონ, დაკავების პერიოდმა გადაწყვეტილების გამოტანამდე გარკვეულ ეტაპზე ხომ არ გადააჭარბა გონივრულ ფარგლებს ანუ, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, ზედმეტი ხნის განმავლობაში ხომ არ იყო დაკავებული პირი, რომელიც ბრალის საბოლოო დადასტურებამდე უდანაშაულოდ მიიჩნევა.

სხვა სიტყვებით, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ბრალდებული პირის დროებითი დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს გონივრულ ვადას. ამასთან, აღნიშნული დებულების ამ განმარტებას იზიარებენ მთავრობაც და კომისიაც.

6. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის განმარტებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ამ სასამართლოში განხილვისას წარმოიშვა, არის ის, თუ დაკავების რა პერიოდი იგულისხმება “გონივრულ ვადაში”. კომისიის აზრით, ბრალდებულის გამოცხადება სასამართლო განხილვაზე, რაც ამ შემთხვევაში 1964 წლის 9 ნოემბერს მოხდა, უნდა იქნეს მიჩნეული დაკავების პერიოდის დასრულების თარიღად, რომლის ხანგრძლივობის საკითხიც თავად კომისიას უნდა შეეფასებინა. ამ მოსაზრებისგან განსხვავებით, კომისიის თავმჯდომარე აღნიშნა, რომ ვემპოფის წინასწარი დაკავება გაგრძელდა ბერლინის საოლქო სასამართლოშიც და ასევე მიუთითა კომისიის უმცირესობაში მყოფ წევრთა განსხვავებულ აზრზე. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, კომისიის თავმჯდომარე სასამართლო პროცესზე მოითხოვა დაკავების კანონიერების დადგენა 1961 წლის 9 ნოემბრიდან 1964 წლის 9 ნოემბრამდე ან უფრო გვიანდელ თარიღამდე პერიოდში.

გერმანიის მთავრობის წარმომადგენელმა დეტალურად განმარტა ის მიზეზები, რომელთა საფუძველზეც იგი იმ მოსაზრებამდე მივიდა – რაც კომისიამაც გაიზიარა თავის მოხსენებაში, – რომ სწორედ სასამართლო სხდომაზე გამოცხადების თარიღი უნდა ჩაითვალოს იმ პერიოდის დასასრულად, რომელსაც ეხება მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

7. სასამართლო ამ შეზღუდულ ინტერპრეტაციას ვერ გაიზიარებს. მართალია, კონვენციის ინგლისური ტექსტი იძლევა ასეთი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, მაგრამ სიტყვები - "საქმის განხილვა სასამართლოს მიერ" (**trial**), რომელიც ორ ადგილას გვხვდება, გულისხმობს მთელ სასამართლო წარმოებას და არა მხოლოდ სასამართლო წარმოების დაწყებას. სიტყვები - "უფლება აქვს მისი საქმე განხილულ იქნეს სასამართლოს მიერ", მაინცდამაინც არ ნიშნავს - "უფლება აქვს მიიყვანონ სასამართლო სხდომაზე", თუმცა, კონტექსტიდან გამომდინარე, სიტყვები - "სასამართლო განხილვამდე", მოითხოვს პირის გათავისუფლებას მთლიანობაში სასამართლო განხილვამდე, ანუ განხილვის დაწყებამდე.

მაგრამ, მიხედვად იმისა, რომ ინგლისური ტექსტი ორნაირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას ქმნის, ფრანგული ტექსტი, რომელსაც თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია, ერთადერთი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ფრანგული ტექსტის თანახმად, პიროვნების გათავისუფლების ვალდებულება ძალაში რჩება, სანამ ეს პირი არ იქნება "**jugée**", ანუ სანამ არ იქნება გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლო განხილვა მთავრდება. ამასთან ფრაზა, რომ პირი უნდა გათავისუფლდეს "**pendant la procédure**" (პროცესის განმავლობაში) – ძალიან ფართო ცნებაა, რომელიც თავის თავში მოიცავს როგორც სასამართლო განხილვას, ისე გამოძიებას.

8. რადგან არსებობს ხელშეკრულების ორი ვერსია, რომელთაც თანაბარი იურიდიული ძალა აქვთ, მაგრამ არ არიან ზუსტად ერთმანეთის შესატყვისი, სასამართლო ვალდებულია, საერთაშორისო სამართლის დამკვიდრებული პრეცედენტული წესის თანახმად, ისეთი განმარტება მიიღოს, რომელიც ორივე ვერსიისთვის მისაღებია. ვინაიდან კონვენცია არის სავალდებულო წესების დამდგენი ხელშეკრულება, ასევე აუცილებელია მისი იმგვარი ინტერპრეტაცია, რომელიც მაქსიმალურად შესაბამისობაში იქნება მის დანიშნულებასა და მიზანთან და რომელიც არ შეზღუდავს ხელშემკვერელ სახელმწიფოთა მიერ თავის თავზე აღებულ ვალდებულებებს. გაუგებარია, თუ რატომ არ უნდა გავრცელდეს გადაწყვეტილების გამოტანამდე პერიოდზე წინასწარ პატიმრობაში ყოფნის დაუსაბუთებელი ხანგრძლივობისგან დაცვის გარანტია, რომელსაც მე-5 მუხლი ანიჭებს დანაშაულში ეჭვმიტანილ პირებს და რატომ უნდა შეწყდეს იგი სასამართლო განხილვის დაწყების მომენტში.

9. ახლა ისლა უნდა დადგინდეს, არის თუ არა ის დღე, როდესაც გამოიტანება საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენი, დაკავების პერიოდის დასასრული, რომელსაც მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ეხება, თუ ეს არის დღე, როდესაც უბრალოდ დამნაშავედ ცნობა ხდება, თუნდაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

სასამართლო ამ უკანასკნელ ინტერპრეტაციას ეთანხმება.

სასამართლოს ერთი გარეგნული მიაჩნია გადამწყვეტად, კერძოდ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირი, მიუხედავად იმისა, მსჯავრდების მომენტამდე იგი დაკავებული იყო თუ არა, იმყოფება მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (a) ქვეპუნქტით განსაზღვრულ პირობებში, რომელიც იძლევა პირისთვის თავისუფლების აღკვეთის შესაძლებლობას "მსჯავრდების შემდეგ". ეს ტერმინი არ შეიძლება გავიგოთ ისე, თითქოს იგი მხოლოდ საბოლოო მსჯავრდებას ეხებოდეს, რადგან ამ შემთხვევაში შეუძლებელი გახდებოდა სასამართლო განხილვაზე გამოცხადებული და მასზე მსჯავრებული პირის დაპატიმრება, იმისდა მიუხედავად, რა

შიდასახელმწიფოებრივი საშუალებებისთვის მიმართვა შეეძლებოდა მას დამატებით. ზემოაღნიშნული წესი ძალზე ხშირად გამოიყენება ხელშემკერულ სახელმწიფოებში და, რა თქმა უნდა, ვერ მივიჩნევთ, რომ მათ სურდათ დამკვიდრებული წესის შეცვლა. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ისიც, რომ აპელაციის ან სხვა გასაჩივრების პროცედურის განმავლობაში დაკავებულ პირს **ბრალი დაუმტკიცდა** სასამართლო განხილვის შედეგად, რომელიც ჩატარდა მე-6 მუხლის მოთხოვნათა დაცვით. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, მსჯავრდების შემდეგ დაკავება მოხდა განაჩენის საფუძველზე თუ – როგორც გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში – ცალკე გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც ძალაში ტოვებს დაპატიმრების ორდერს. პირს, რომელსაც აქვს საფუძველი, გაასაჩივროს მსჯავრდების შემდეგ მისი დაკავების ხანგრძლივობა გასაჩივრების პროცესის გაჭიანურების გამო, არ შეუძლია მიუთითოს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტზე, არამედ შეუძლია განაცხადოს “გონივრული ვადის” გადაცილების შესახებ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ხანგრძლივობის გონივრულობის საკითხი უნდა განიხილოს 1961 წლის 9 ნოემბრიდან 1965 წლის 7 აპრილამდე პერიოდის მიმართ.

10. ბრალდებული პირის პატიმრობის ხანგრძლივობის გონივრულობა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში არსებული გარემოებების მიხედვით უნდა გადაწყდეს. ფაქტორები, რომლებიც ამ თვალსაზრისით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, შეიძლება მრავალნაირი იყოს. აქედან გამომდინარე, დაკავების ვადის ხანგრძლივობის გონივრულობის შეფასებისას შეიძლება წარმოიშვას ერთმანეთისგან განსხვავებული მოსაზრებები.

11. აზრთა სხვადასხვაობისა და მათი ფარგლების შეზღუდვის მიზნით – როგორც ეს კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა სასამართლოსადმი მიმართვაში – კომისიამ შეიმუშავა შვიდი კრიტერიუმი, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია დაკავების ხანგრძლივობის შეფასება. საქმის სხვადასხვა ასპექტის გამოკვლევით ამ კრიტერიუმების საფუძველზე მოცემული საქმისთვის მახასიათებელი გარემოებები მთლიანობაში შეფასდება; თითოეული კრიტერიუმის “წონა” შეიძლება სხვადასხვა საქმეზე, გარემოებების მიხედვით, სხვადასხვა იყოს.

12. სასამართლოს არ შეუძლია კომისიის მიერ შემუშავებული მეთოდის გაზიარება. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებული საქმეები, ვიდრე ისინი გადაეცემა ხელშემკერული სახელმწიფოების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად კონვენციის საფუძველზე შექმნილ ორგანოებს, ექვემდებარება შიდასახელმწიფოებრივ საშუალებებს და, აქედან გამომდინარე, შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო ორგანოების მიერ გამოტანილ მოტივირებულ გადაწყვეტილებებს. სწორედ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო ორგანოების ფუნქციაა მიუთითონ გარემოებები, რომელთაც საფუძველზეც მათ საჭიროდ მიიჩნიეს ეჭმიტანილი და არა მსჯავრდებული პირის დაკავება. შესაბამისად, ამ პირს, შესაბამისი საშუალების გამოყენებისას, უნდა მიეუთითებინა გარემოებებზე და მოეყვანა არგუმენტები, რომლებიც გააბათილებდა ხელისუფლების ორგანოების დასკვნებს, აგრეთვე სხვა გარემოებებზე, რომლებიც მეტყველებდა ამ პირის გათავისუფლების სასარგებლოდ.

სწორედ ამ მაჩვენებლების საფუძველზე უნდა განსაჯოს სასამართლომ, შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო ორგანოების მიერ პატიმრობის ვადის გაგრძელების დასასაბუთებლად მოყვანილი გარემოებები არის თუ არა მართებული და საკმარისი იმისათვის, რომ დადგინდეს, რომ დაკავება არ გაჭიანურდა დაუსაბუთებლად და კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის საწინააღმდეგოდ.

13. ვემპოფის მიმართ 1961 წლის 9 ნოემბერს გაცემული დაკავების ორდერი ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ იგი რომ გაეთავისუფლებინათ, შეიძლება გაქცეულიყო და გაენადგურებინა მის წინააღმდეგ არსებული მტკიცებულებები, კერძოდ, დანაშაულის ჩადენაში მონაწილე სხვა პირებისთვის გაფრთხილების მიცემით (იხ. აღწერილობითი ნაწილი, პუნქტი 4). ეს ორივე მიზეზი პერმანენტულად იყო მითითებული 1963 წლის 5 აგვისტომდე სასამართლოების გადაწყვეტილებებში, რომლებითაც ვემპოფს უარი ეთქვა სასამართლო განხილვამდე გათავისუფლებაზე.

1963 წლის 5 აგვისტოს, თუმცა გამოდიოდა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული, სააპელაციო სასამართლო ეჭვქვეშ დააყენა მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის კვლავ არსებობა, მაგრამ მიიჩნია, რომ მიმალვის საფრთხე ჯერ კიდევ არსებობდა (აღწერილობითი ნაწილი, პუნქტი 6). იგივე არგუმენტი იყო განმეორებული მოგვიანებით გამოტანილ გადაწყვეტილებებში, რომლებითაც მომჩივანს დაყენებულ შუამდგომლობებზე უარი ეთქვა.

14. რაც შეეხება მტკიცებულებათა განადგურების საფრთხეს, სასამართლო დასაბუთებულად მიიჩნევს გერმანიის სასამართლოების შემოფოტებას, გამომდინარე საქმის სირთულიდან და იმ დანაშაულთა ხასიათიდან, რომელთა ჩადენაშიც ვემპოფი იყო ეჭმიტანილი.

რაც შეეხება მიმალვის საშიშროებას, სასამართლო შემდეგ მოსაზრებას აყალიბებს: მართალია, სასჯელის სიმძიმე, რომელიც ბრალდებულს მსჯავრდების შემთხვევაში ემუქრება, სრულიად "მართებულად" შეიძლება ჩაითვალოს მისი მიმალვის წამქეზებელ ფაქტორად – თუმცა პირის პატიმრობაში ყოფნის ვადის გაგრძელებასთან ერთად ეს საფრთხე მცირდება და თანდათან მცირდება ის სასჯელიც, რომელიც ბრალდებულს ფაქტობრივად ექნება დარჩენილი მოსახდელად – მაგრამ თავისთავად მძიმე სასჯელი ამ თვალსაზრისით არ შეიძლება "საკმარისად" იქნეს მიჩნეული. გერმანიის სასამართლოები წინდახედულად მოიქცნენ და მიმალვის საფრთხის არსებობის მტკიცება იმით გაამყარეს, რომ მიუთითეს სამართალწარმოების საწყის სტადიაზე ბრალდებულის მატერიალურ მდგომარეობასა და მის ცალკეულ ქმედებებზე (აღწერილობითი ნაწილი, პუნქტები 6 და 7).

15. მაგრამ სასამართლოს სურს ხაზი გაუსვას კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ბოლო სიტყვებს, რომელთა თანახმად, როდესაც პატიმრობის ვადის გაგრძელებას მოტივად ედება ბრალდებულის მიმალვის და, შესაბამისად, სასამართლო განხილვაზე შემდგომ არგამოცხადების საფრთხე, იგი უნდა გათავისუფლდეს სასამართლო განხილვამდე, თუ შესაძლებელია მისგან გარანტიების მიღება, რომლებიც უზრუნველყოფს მის იქ გამოცხადებას.

ექვს არ იწვევს, რომ ფინანსური დანაშაულის საქმეზე, როგორშიც, მაგალითად, ვემპოფი მონაწილეობდა, არსებითი ფაქტორი არის ბრალდებულის მიერ გირაოს, ან დიდი ოდენობით თანხის გარანტიის სახით უზრუნველყოფა. მოცემულ საქმეზე ვემპოფის მოქმედებები ამ საკითხთან დაკავშირებით (აღწერილობითი ნაწილი, პუნქტები 5 და 14) არ იყო დამაჯერებელი, რომ იგი მზად იყო ასეთი გარანტიების უზრუნველსაყოფად.

16. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო ვერ მივა დასკვნამდე, რომ დარღვეულია მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დაწესებული რაიმე ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ვემპოფის დროებითი დაკავება 1961 წლის 9 ნოემბერსა და 1965 წლის 7 აპრილს შორის პერიოდში გამოწვეული იყო: ა) გამოძიების ნელი ტემპით, რომელიც დამთავრდა მხოლოდ 1964 წლის თებერვლის ბოლოს; ბ) გამოძიების დასრულებასა და საბრალდებო დასკვნის წარდგენას (1964 წლის აპრილი) შორის გასული დროით ან საბრალდებო დასკვნის წარდგენასა და სასამართლო განხილვის დაწყებას (1964 წლის 9 ნოემბერი) შორის გასული დროით; ანდა გ) სასამართლო განხილვის

ხანგრძლივობით (რომელიც გაგრძელდა 1965 წლის 7 აპრილამდე). უდავოა, რომ თუნდაც ბრალდებული პირი გონივრულ საფუძველზე იყოს დაკავებული სხვადასხვა პერიოდის განმავლობაში საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება ადგილი ჰქონდეს მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას, თუ, ნებისმიერი მიზეზით, სამართალწარმოება გრძელდება ძალიან დიდი ხნის განმავლობაში.

17. ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო იზიარებს კომისიის მოსაზრებას, რომ ამ შემთხვევაში სასამართლო ორგანოების ქმედებაში რაიმე ხარვეზი არ მოიპოვება. გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ხანგრძლივი პერიოდი გამართლებულია საქმის განსაკუთრებული სირთულითა და დაყოვნების სხვა დაუძლეველი მიზეზებით. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ, მართალია, პატიმრობაში მყოფ ბრალდებულს უფლება აქვს, მისი საქმე განხილულ იქნეს უპირატესად და სწრაფად, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს მოსამართლის მიერ გარემოებათა ყოველმხრივ მოკვლევას, რათა ორივე მხარეს – დაცვასაც და ბრალდებასაც მიეცეთ სრული შესაძლებლობა წარმოადგინონ თავიანთი არგუმენტები და მტკიცებულებები, რის შემდეგაც მოსამართლეს საჭირო ფიქრისა და აწონ-დაწონვის შედეგად გადმოაქვს გადაწყვეტილება, ნამდვილად ჩადენილია თუ არა დანაშაული და როგორი სასჯელია მართებული.

B. რაც შეეხება მე-6 მუხლის პირველ პუნქტს, რომელიც ყოველ ადამიანს უფლებას ანიჭებს მისი საქმე განხილულ იქნეს გონივრულ ვადაში

18. სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ დებულების კონკრეტული მიზანი არის ის, რომ ბრალდებული პირი დიდხანს არ იმყოფებოდეს ბრალდების ქვეშ და ბრალის არსებობა დროულად დადგინდეს. ამიტომ უდავოა, რომ ამ დებულების გამოყენებისას მხედველობაში მისაღები პერიოდი გრძელდება მინიმუმ პირის გამართლებამდე ან მსჯავდებამდე, თუნდაც ეს გადაწყვეტილება გასაჩივრების შედეგად იყოს გამოტანილი. ამიტომ გაუგებარია, შესაბამისი პირებისთვის მინიჭებული პროცესის არგაჭიანურების გარანტია რატომ უნდა წყვეტდეს მოქმედებას სასამართლო განხილვის დაწყების პირველივე სასამართლო სხდომაზე: საფრთხე სასამართლოების მხრიდანაც არსებობს, კერძოდ, რომ დაუსაბუთებლად არ გადადონ სხდომა ან ზედმეტი დაყოვნებით არ ჩაატარონ განხილვა.

19. რაც შეეხება მხედველობაში მისაღები პერიოდის დასაწყისს, სასამართლოს აზრით, ასეთად მიჩნეულ უნდა იქნეს 1961 წლის 9 ნოემბერი – თარიღი, რომელზეც ბატონ ვემპოფს პირველად წაუყენეს ბრალი და როდესაც მისი დაკავების ორდერი გამოიცა. სწორედ ამ რიცხვში ამოქმედდა მისი იურიდიული უფლება – მისი საქმე განხილულიყო გონივრულ ვადაში სისხლის სამართლის ბრალდების დასადგენად.

20. მხედველობაში მისაღები პერიოდი, რომლის ფარგლებშიც განხილულ უნდა იქნეს მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულება-არშესრულების საკითხი, ამ შემთხვევაში ძირითადად ემთხვევა ბატონი ვემპოფის წინასწარი პატიმრობის პერიოდს (რომელსაც მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ეხება). აქედან გამომდინარე, სასამართლო შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების მოქმედებაში ვერ ხედავს რაიმე ფაქტს, რომ მათ არ შეასრულებს აღნიშნული დებულებით გათვალისწინებული განსაკუთრებული გულისხმიერები გამოჩენის ვალდებულება და, შესაბამისად, იძულებულია a fortiori მივიდეს დასკვნამდე, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი რომელიმე ვალდებულება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ

მხედველობაში მიიღება გასაჩივრების წარმოების პერიოდი, ის არ აღემატებოდა გონივრულ ფარგლებს.

აღნიშნულ გარემოებათა საფუძველზე სასამართლო

ექვსი ხმით ერთი წინააღმდეგ აცხადებს, რომ არ არის დარღვეული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი;

ერთსულოვნად აცხადებს, რომ არ არის დარღვეული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი;

აქედან გამომდინარე, ადგენს, რომ საქმეში არსებული გარემოებებით არ მტკიცდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ მასზე კონვენციით დაკისრებული ვალდებულებების დარღვევის ფაქტი;

შესაბამისად, ადგენს, რომ დარღვევის არარსებობის გამო კ.პ. ვემჰოფისთვის ზიანის ანაზღაურების საკითხი არ წარმოიშვება.